საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1973
22/03/2023

1973-21-2-202303221435

შპს „გეოპლანტ პლიუსს“
მის: თბილისი, საბურთალოს რაიონი,ს.ჩიქოვანის ქ., № 7, ბ. 35
ელ.ფოსტა: geoplant20@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №1607 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემისა და ჯამურად 25 870 m^3 მოცულობის რეზერვუარის მოწყობა-ექსპლუატაციას.

სკრინინგის განცხადებაზე თანდართულ სსდ - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის წერილის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარება არ გახდება ხელისშემშლელი ფაქტორი სახელმწიფო საზღვრის ფიზიკური და ტექნიკური დაცვისთვის იმ შემთხვევაში, თუ ტუმბოზე მიერთებული მილები განთავსდება გრუნტის ქვეშ, რაც არ შეაფერხებს სასაზღვრო განწესების გადაადგილებას დასაცავ მონაკვეთზე. თუმცა, ამავე წერილის მიხედვით, ვინაიდან საპროექტო ტერიტორია ხვდება 500 მეტრიან სასაზღვრო ზოლში, გასათვალისწინებელია „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლი, რომლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სასაზღვრო ზოლის ტერიტორია სახელმწიფო საკუთრებაა, ხოლო მე-5 პუნქტის თანახმად, „სასაზღვრო ზოლში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც არ არის დაკავშირებული მის მოვლასთან, სასაზღვრო ნიშნების შემოწმებასთან და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის ღონისძიებებთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ცალკეულ შემთხვევებში საქართველოს პრემიერ-მინისტრს უფლება აქვს, სასაზღვრო ზოლში დაუშვას გარკვეული სახის სამეურნეო საქმიანობა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია მხოლოდ მდ. ალაზნის მაქსიმალური ხარჯები, მათი შესაბამისი დონეები და კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის სიღრმე. აღნიშნული მონაცემების გარდა, ჰიდროლოგიური ნაწილში ასევე მოცემული უნდა იყოს მდ. ალაზნის სავეგეტაციო პერიოდის 10 დღიანი მინიმალური ხარჯების სხვადასხვა უზრუნველყოფის სიდიდეები და მათი შესაბამისი დონეები, რომელთა გათვალისწინებით უნდა დაიგეგმოს სატუმბი სადგურის შემწოვი მილის ჩაშვების ნიშნული;
- ჰიდროლოგიური შესწავლილობის ნაწილი არ შეიცავს მდინარის ჩამონადენის მრავალწლიური და შიგაწლიური რეჟიმის დახასიათებას და კალაპოტის სანიტარული ხარჯის შესახებ ინფორმაციას. ამასთან, ქვეთავში „კალაპოტის ზოგადი წარეცხვის სიღრმე“ (გვ. 21) მდ. ალაზნის ნაცვლად მოხსენიებულია მდ. ცხენისწყალი. აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს კორექტირებას და შესაბამისად, კალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმის მნიშვნელობის დაზუსტებას;
- დოკუმენტში ნათლად უნდა აისახოს ინფორმაცია პროექტის შედეგად დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედებისა და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების შესახებ, ასევე, საჭიროა დაზუსტდეს იგეგმება თუ არა პროექტის განხორციელების შედეგად ხე-მცენარეების ჭრა;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთები არ წარმოადგენს ხმელეთის ცხოველებისთვის მნიშვნელოვან საარსებო გარემოს. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დასაბუთებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო